აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 8

18 ივლისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
16[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, ირაკლი გვარამია, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ფიქრია აფაქიძე, ნუგზარ ბაჯელიძე და მამუკა ჯაში.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის - „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი - დარეჯან ალანია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

2. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

2. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული

შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის მდივანს და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიის წევრებს შესთავაზა კომისიის მდივნის კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: მამუკა ჯაშმა, სოფიო კახაძემ, ზურაბ გოლიაძემ, რამაზ გოლომანიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

მამუკა ჯაშმა და სოფიო კახაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს სოფიო კახაძის კანდიდატურა.

ზურაბ გოლიაძემ და რამაზ გოლომანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს რამაზ გოლომანიძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ დასახელებული კანდიდატების რიგის მიხედვით, თავდაპირველად კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე სოფიო კახაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	ჯალაღონია პარმენ	დუაძე გუგული	ჭავანაძე თორნიკე	გოლომანიძე რამაზ	გოლიაძე ზურაბ	კახაძე სოფიო	ლომაძე მაკა	გვარამია ირაკლი	ჭაღალიძე შორენა	ჯაიანი კახაბერ	ფფქიძე ფიქრია	ჯაში მამუკა	ბაჯელიძე წუგზარ
სოფიო კახაძე	მომხ.	მომხ.	მომხ.			მომხ.		მომხ.	მომხ.		მომხ.	მომხ.	

მომხრე 8;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხუთმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე რამაზ გოლომანიძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	**ჯალაღონია პარმენ**	**დუაძე გუგული**	**მჟავანაძე თორნიკე**	**გოლომანიძე რამაზ**	**გოლიაძე ზურაბ**	**კახაძე სოფიო**	**ლომაძე მაკა**	**გვარამია ირაკლი**	**ჭაღალიძე შორენა**	**ჯაიანი კახაბერ**	**ადაქიძე ფიქრია**	**ჯაში მამუკა**	**ბაჯელიძე წუგზარ**
რამაზ გოლომანიძე		**მომხ.**		**მომხ.**	**მომხ.**		**მომხ.**					**მომხ.**	

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის რვა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო სახელობითი კენჭისყრის შედეგები, მიულოცა სოფიო კახაძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩევა და უსურვა წარმატებები.

ჩატარებული სახელობითი კენჭისყრის შედეგად უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეული იქნა სოფიო კახაძე.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს სოფიო კახაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული რამაზ გოლომანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის, რის თანახმადაც, ზუსტდება უსკოს რეგლამენტის გარკვეული მუხლები, ასევე ზუსტდება სხდომის მომზადების, ჩატარების წესები და კენჭისყრის პროცედურები.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, მამუკა ჯაშმა, თორნიკე მჟავანაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ ხომ არ სჯობდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტიდან - „4². თუ უსკოს სხდომას არ ესწრება უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა სხდომის თავმჯდომარე აცხადებს გადადებული სხდომის ჩატარების დროს;“. ამოღება. მას მიაჩნია, რომ ჯერ უნდა მოხდეს დაზუსტება, თუ რა მიზეზით არ ესწრება უსკოს სხდომას კომისიის წევრი/წევრები და დაზუსტების შემდგომ დაინიშნოს უსკოს სხდომა.

მამუკა ჯაშმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ზურაბ გოლიაძის მოსაზრებას და ითხოვა ხსენებული ჩანაწერის დადგენილების პროექტიდან ამოღების შესახებ კენჭისყრაზე დაყენება.

თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ უსკოს იმ წევრებს, რომლებიც ესწრებიან სხდომას, თუ წინასწარ ეცოდინებათ გადადებული სხდომის ჩატარების დრო უკეთესი იქნება, ვიდრე არ ცოდნა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრების, ზურაბ გოლიაძის და მამუკა ჯაშის წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტიდან - „4². თუ უსკოს სხდომას არ ესწრება უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა სხდომის თავმჯდომარე აცხადებს გადადებული სხდომის ჩატარების დროს“ ამოღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 2;
წინააღმდეგი 11;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის

შესახებ“ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-16 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2^1“ და „2^2“ პუნქტები:

„2^1. უსკო ვალდებულია სხდომის გამართვის წინა დღეს თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ დროისა და დღის წესრიგის პროექტის თაობაზე;

2^2. ამ მუხლის „2^1“ პუნქტით გათვალისწინებული წესებიდან გამონაკლისები დასაშვებია საარჩევნო პერიოდში. ამ შემთხვევაში უსკო ვალდებულია სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა, თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების დროისა და დღის წესრიგის პროექტის თაობაზე;“.

2. მე-16 მუხლს „4^1“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „4^2“ პუნქტი:

„4^2. თუ უსკოს სხდომას არ ესწრება უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა სხდომის თავმჯდომარე აცხადებს გადადებული სხდომის ჩატარების დროს;“.

3. მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. უსკოს სხდომას, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა, ესწრებიან უსკოს სამსახურის უფროსები, კონკრეტული საკითხის განხილვის დროს მოწვეული დაინტერესებული მხარეები, რომლებიც საკითხის შესახებ უსკოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ტოვებენ სხდომის დარბაზს;“.

4. მე-16 მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „9^1“, „9^2“, „9^3“, და „9^4“ პუნქტები:

„9^1. საარჩევნო კომისიის წევრს ან/და უსკოს სამსახურების უფროსებს, როგორც განსახილველ საკითხზე მომხსენებლებს, სხდომაზე გამოსვლისათვის ეძლევა არაუმეტეს 5 წუთი და საჭიროებისამებრ სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება დაემატოთ არაუმეტეს 5 წუთისა;

9^2. უსკოს სხდომაზე განმცხადებელს/მომჩივანს უნდა მიეცეს გონივრული დრო განსახილველ საკითხზე დაიცვას საკუთარი ან მისი მარწმუნებლის პოზიცია;

9^3. მხარე უფლებამოსილია, მის მიერ წარდგენილ განცხადება/საჩივარში, წინასწარ მიუთითოს იმ დროის გონივრული ოდენობა, რაც მას დასჭირდება საკუთარი მოსაზრებების წარსადგენად გამართულ სხდომაზე, გამოსვლის წინ მოითხოვოს დროის კონკრეტული ოდენობა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისათვის. აღნიშნული დროის შემცირება დასაშვებია სხდომის თავმჯდომარის მიერ, თუ მხარე მის მიერ მოთხოვნილ დროს იმგვარად იყენებს, რომ აღნიშნული აშკარად ემსახურება საკითხის განხილვის ვადებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხის განხილვის გაჭიანურებას ან/და არსებითად გასცდა განსახილველ საკითხს ან წარმოშობს მისი განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევის საშიშროებას;

9^4. სხდომაზე საკითხის განხილვის პროცესში მხარეებისათვის და მხარის მიერ კითხვების დასმა და მასზე პასუხების გაცემა დასაშვებია მხოლოდ თავმჯდომარის ნებართვით;“.

5. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრაზე საკითხს აყენებს წინადადებათა შემოსვლის რიგის მიხედვით. უსკოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, უსკოს წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს (ხელის აწევით), როგორც მომხრე ან წინააღმდეგი;“.

6. მე-17 მუხლს „1[1]“ პუნქტის შემდეგ დაემატოს „1[2]“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1[2]. სხდომის თავმჯდომარე ყოველი კენჭისყრის დასრულების შემდეგ აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;“.

7. მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საჭიროების შემთხვევაში კენჭისყრის პროცედურას, რაც არ არის გათვალისწინებული ამ რეგლამენტით და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე;“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი სააჩევნო კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №7 დადგენილების მიღებით მოხდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) ჩანაწერის შესაბამისობაში მოყვანა საარჩევნო კოდექსსა და ცესკოს მიერ მიღებულ განკარგულებასთან მიმართებაში, შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი №71, №72 და №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე, (საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ) აქვს იგივე პოზიცია, და მიაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსსა და ცესკოს მიერ მიღებულ განკარგულებასთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისობაში მოყვანა იყო უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა. თუმცა თვლის, რომ უმაღლესი საბჭოს მხრიდან ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და თავის არიდება ოლქებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ უსკოსათვის კომფორტული იქნებოდა, რომ უმაღლესი საბჭოს მხრიდან განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილება კანონში, რის თანახმადაც საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამებოდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს, მათ საზღვრებს და ნომრებს, თუმცა ამის გაკეთება მოუწია უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 2;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“

ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №7 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის №71, №72 და №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების საზღვრები, ნომრები და სახელწოდებები განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის №161 განკარგულების შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი

კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 8 ივნისის №235/2016 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო, შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერათა მინიმალური ოდენობა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

5. განკარგულება.
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო კომისიის ფორმის დამტკიცების

შესახებ“ განკარგულების პროექტი. კომისიას წარუდგინა საოლქო და საუბნო კომისიებში ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობის ფორმები და უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის და მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობის ფორმები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საოლქო საარჩევნო კომისიაში (ფორმა №6-07.01.04);

ბ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა საუბნო საარჩევნო კომისიაში (ფორმა № 6-07.01.05);

გ) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა (ფორმა №6-07.01.06);

დ) უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა (ფორმა №6-07.01.06).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**